პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ოთხშაბათი, 14 ოქტომბერი 1925 წ. ხელიწადი მეხუთე ფასი 3 კ.—თვიურად 60 კ.

# წითელი არმიელი

(931) 233 | 1 და 2 ქართული მსრ. დივ. პოლიტ-განების ყოველდღიური გაზეთი | რედაქც. მისამართი: ტფ., ევანგულოვის ქუჩა ელხმენი 2—24 განცხადების ფასი პირ. გვ. 40 კ. ნომპ. სტრ.

## ქალაქის ნაწარმოები სოფელს.

პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების სწორი ხელმძღვანელობის ქვეშ საბჭოთა კავშირის მუშებმა და გლეხებმა სულ რამოდენიმე წლის განმავლობაში შესძლეს ომების მიერ მოშლილი სასოფლო-მეურნეობისა და ქალაქის დანგრეულ წარმოების აღდგენა. დღეს ჩვენი წარმოება დღითი დღე უმჯობესდება და გიგანტიური ნაბიჯებით მიექანება წინ. მომავალ სამეურნეო წელში ჩვენი წარმოების ყოველი დარგი არამც თუ მიაღწევს ომის წინა დროინდელს, არამედ კიდევაც გადააჭარბებს მას.

თუ ავიღებთ ჩვენ სასოფლო-მეურნეობის დარგს, დავინახავთ, რომ მიმდინარე წლის კარგმა მოსავალმა ჩვენი ხელისუფლების წინაშე წამოაყენა ძლიერ სერიოზული საკითხი. წელს გლეხობამ იმდენი პური მოიწია, რომ მისი გასაღება უცხოეთის ბაზარზე პირველ და გადაუდებელ საკითხად არის მიჩნეული.

ამასთან დაკავშირებით ძლიერ გაიზარდა გლეხობის მოთხოვნილება ქალაქის ნაწარმოებზე, როგორიც არის: მანუფაქტურა, რკინეულობა, სასოფლო-სამეურნეო იარაღები, ნავთი, მარილი, სპიჩკა და სხვაზე.

მაგრამ ქალაქის წარმოებას არ ძალუძს დააკმაყოფილოს 100%-ით გლეხობის ეს მოთხოვნილება. ქალაქის ფაბრიკა-ქარხნებმა ვერ შესძლეს საქონლის იმ რაოდენობის დამზადება, რომელსაც მოითხოვს დღეს ჩვენი ბაზარი ან მისი მომხმარებელი. ქალაქის ნაწარმოების ამ სიმცირის შედეგი კი ისაა, რომ ეს ნაწარმოები გაცილებით უფრო ძვირი ღირს ბაზარზე ვიდრე სოფლის.

ამ ნიადაგზე იყო, რომ წარსულ წლებში აღმოცენდა ცნობილი „მაკრატლის" პრობლემა.

საბჭოთა ხელისუფლებამ და ჩვენმა პარტიამ მიაქციეს დღეს ამ გარემოებას ჯეროვანი ყურადღება და უკვე გადადგმულია ნაბიჯები, რომ დააკმაყოფილონ გლეხობის მოთხოვნილება ქალაქის ყოველგვარი ნაწარმოებით.

გარდა ამისა, საბჭოთა ხელისუფლებამ უკვე მიიღო სათანადო ზომები და გამოიტანა დადგენილება, რომ ქალაქის ნაწარმოები პირველ რიგში მიაწოდონ კარგ მოსავლიან რაიონების გლეხებს.

საქონლის ამ მოწოდების დროს აშკარაა დიდ როლს ითამაშებს ჩვენი კოოპერატიული ორგანიზაციები. ამ უკანასკნელებმა უნდა აიღონ გლეხობაზე საქონლის მიწოდების მონოპოლია. ამასთანავე ერთად იმათმა სოფლის გლეხობისაგან მტკიცე ფასებში უნდა შეიძინონ ის ზედმეტი პური, რომელიც დღეს გამოდის ბაზარზე გასასყიდლად და არ მისცენ საშუალება კერძო კაპიტალს ხელში ჩაიგდოს ეს პური გლეხობისაგან უმნიშვნელო ფასებში.

## საფრანგეთის ბურჟუაზიის მზადება.

საფრანგეთის ბურჟუაზია ციებ-ცხელებაშია. მას მიშის ზარს სცემს საყოველთაო გაფიცვა, რომელსაც მოქმედებათა კომიტეტი იწყებს მაროკოს ომის პროტესტის ნიშნად. მთავრობამ ყველა დიდ ქალაქებში, და უმთავრესად კი, პარიზში თავი მოუყარა დიდძალ ჯარს, გაძლიერებულია პოლიციელთა რაზმები, რომლებმაც ყველა ფაბრიკა-ქარხნები და ტრამვაის დეპოები დაიკავა. პროკურატურამ აღძრა საჩივარი ყველა გამოჩენილ კომუნისტების წინააღმდეგ. ცენზურამ კონფისკაცია უყო კომუნისტურ გაზეთების იმ ნომრებს, რომლებიც მუშებს გაფიცვისაკენ მოუწოდებდენ.

მაგრამ, მიუხედავად ასეთ რეპრესიების, გაფიცულთა კომიტეტი იტყობინება, რომ ყველა წარმოებებში მუშების უმეტესობა გაფიცულებს ემხრობა. მთავრობა უფრო ცხარე ზომებს მიმართავს. ის ასობით აწუსაღებს მუშებს და მათ შორის გამოჩენილ ფრანგ კომუნისტს დორიოს.

რით აიხსნება შექმნილი მდგომარეობა საფრანგეთში?

საფრანგეთის იმპერიალიზმი გამარჯვებული გამოვიდა გერმანიის იმპერიალიზმთან ბრძოლაში. რამოდენიმე წლის შემდეგ ის ფეხზე წამოდგა. უკანასკნელ წლებში საფრანგეთის შეიარაღება წარმოუდგენელ სისწრაფით ვითარდება,

სამხედრო სიძლიერით მას ევროპის კონტინენტზე (ტერიტორიაზე) არავინ არ ყავს მეტოქე, მას აწუხებს, საქონლის სიმრავლე, ის ეძებს მისთვის ბაზარს. მხოლოდ ამ გარემოებით აიხსნება მისი მტაცებლური—იმპერიალისტური ომი, რომელიც ერთი წელია სწარმოებს მაროკოში და ბოლო კი არ უჩანს. ამ ომმა მრავალ მილიონად ღირებულ საქონელთან ერთად ათასობით ფრანგ ახალგაზრდობის სიცოცხლე შთანთქა. ყველა ეს ხარჯი საფრანგეთის გლეხობას და მუშათა კლასს აწვება კისერზე მთელი თავისი სიმძიმით. საფრანგეთის ბურჟუაზიას კი ეს ომი დიდ მოგებას აძლევს. ამიტომ საფრანგეთის პროლეტარიატი ყოველგვარ ღონეს ხმარობს ბოლო მოუღოს საფრანგეთის მუშათა კლასის სისხლის ღვრას. საფრანგეთის კომპარტიამ გამოაშკარავა ამ ომის ნამდვილი ბუნება და ამით მისი პოპულიარობა დასცა წვრილ ბურჟუაზიულ მასსებშიც კი. ამ მდგომარეობიდან საფრ. ბურჟუაზია ვერ ხედავს გამოსავალს, რადგან მშრომელი, მეომარი რიფები (ტომები, რომლებიც იბრძვიან ფრანგების ძალადობის წინააღმდეგ) არ ნებდებიან ფრანგების ჯარებს. ამ ბრძოლაში მსოფლიო პროლეტარიატის იდეური დახმარება რიფებისაკენაა, რომლებიც თავიანთ სამშობლოს და სამართლიანობისათვის იბრძვიან. ამ ომმა საშინლად დასცა ფრანკის ფასი (საფრანგეთის ფულის ერთეული). ამერიკამ და ინგლისმა დანა ყელში მიაბჯინეს საფრანგეთის მთავრობას თავის ვალებისათვის. ეს კიდევ უფრო კრიტიკულ მდგომარეობაში აგდებს ფრანკის ფასს.

ამ მდგომარეობიდან გამოსასვლელად საფრანგეთის ბურჟუაზია ორ გზას მიმართავს. იწყებს იმპერიალისტურ-მტაცებლურ ომს რიფების წინააღმდეგ და ნაცვლად მსხვილ კაპიტალის დაბეგვრისა, ამერიკის და ინგლისის ვალს წვრილ-მესაკუთრეებზე და მშრომელებზე ანაწილებს. ბურჟუაზია აწარმოებს მუშათა კლასზე შეტევას მისი პოლიტიკურ უფლებების შესაკვეცად. პროლეტარიატიც, იგერიებს ამ შეტევას. ის ცდილობს ბოლო მოუღოს მაროკოს ომს, რომელიც სისხლიდან სცლის საფრანგეთის პროლეტარიატს. ამიტომ აწყობს ის საერთო გაფიცვებს. და თუ საფრანგეთის ბურჟუაზიამ ბოლო ვერ მოუღო ამ ომს, ეს უკანასკნელი შექმნის ისეთ პოლიტიკურ-ეკონომიურ პირობებს, რომ საფრანგეთის პროლეტარიატი იძულებული იქნება ძალა-უფლება ხელთ აიღოს, რათა დაიცვას თავისი არსებობა.

ნ. ნ.

# ახალი რადიო-ამბები

## ლოკარნოს კონფერენციის გარშემო.

### საქმიანი სეირნობა.

10 ოქტომბერს ჩემბერლენი (ინგლ. საგარეო საქმეთა მინისტრი), რეიხსკანცლერი ლიუტერი და შტრეზემანი (გერმანიის საგარეო მინისტრი) გაემართენ გემით მაჯოროს ტბაზე. ეს სეირნობა გაგრძელდა 5 საათი.

გადმოგვცემენ, რომ ეს სეირნობა მოწყობილ იქნა ჯერ კიდევ არსებულ დაბრკოლებათა მოგვარების მიზნით.

ჩემბერლენმა და სხვა დელეგატებმა განუცხადეს პრესის წარმომადგენლებს, რომ გემზე გამართულმა თათბირმა საგრძნობლად წასწია წინ სადაო საკითხების გარჩევის საქმე.

## კონფერენციის ოფიციალური ცნობა.

ოფიციალურ ცნობაში ლოკარნოს (ქალაქი შვეიცარიაში, სადაც მიდის ამ ჟამად საუზრუნველყოფო კონფერენცია) კონფერენციის შესახებ ნათქვამია:

„განახლდა კამათი ერთი ლიგის ხელშეკრულებაში იმ სახელმწიფოების მონაწილეობის შესახებ, რომლებიც მოაწერენ ხელს საგარანტიო (საუზრუნველყოფო) ხელშეკრულებას. გერმანიის დელეგაციის თხოვნამ დამატებითი განმარტების შესახებ, საბაბი მისცა სხვადასხვა დელეგაციების აზრთა გაცვლა-გამოცვლას და წასწია წინ კონფერენციის მუშაობა.

## გერმანია—საბჭოთა სავაჭრო ხელშეკრულება.

12 ოქტომბერს მოსკოვში ხელმოწერილ იქნა გერმანია-საბჭოთა სავაჭრო ხელშეკრულება,

ხელშეკრულების სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობა დიდია იმ მხრივ, რომ ის აგვარებს თითქმის ეკონომიურ და უფლებრივ ურთიერთობის ყველა მხარეს ორივე სახელმწიფოს შორის.

## მაროკოს ომი და საფრანგეთის პროლეტარიატი.

### პარიზში გაფიცულია მუშათა საგრძნობი ნაწილი.

#### პატიმართა რიცხვი იზრდება.

პარიზის ტრამვაისა და ავტომობილების მოსამსახურეთაგან გაფიცვებში მონაწილეობას ღებულობს მუშების 60%.

საგაფიცვო კომიტეტი იტყობინება, რომ მელითონეების გაფიცულთა რიცხვი უდრის 30% ს, მშენებელთა—30%, ქიმიურ მრეწველობის—50%-ს, დანარჩენ დარგების—25%-ს.

რუანისა და გავრის ნავთსადგურები აღარ მუშაობენ გაფიცვების გამო.

პატიმართა რიცხვი პარიზში ავიდა 300-მდი. პოლიციელთა მიერ დაჭრილთა რიცხვი უდრის 16.

კომუნისტი დეპუტატი დორიო, რომელმაც ქუჩაში შეტაკების დროს გაარტყა პოლიციელს, დაპატიმრებულია სანტეს ციხეში.

## საფრანგეთის კომუნისტების დევნა.

პარიზის გამასწორებელმა ტრიბუნალმა წინასწარ (დაუპატიმრებლად) მიუსაჯა კომუნისტებს: ბონევს, ბერარს, რეინოსა და ჟილბერს 6 თვის ციხე და 200 ფრანკი (ფრანკი დაახლოვებით უდრის $37^1/_2$ კაპ.) ჯარიმა თითოს. მათ ბრალდებათ „სამხედრო მოსამსახურეთა წაქეზება—არ დაემორჩილონ უფროსებს". „ლ,იუმანიტეს" რედაქტორს და კომუნისტ მორის ტორეს მიუსაჯეს თითოს 8 თვის ციხე და 2.000 ფრანკი ჯარიმა; კომკავშირელ შასსელსა და ჟიროს—10 თვის ციხე და 2.000 ფრანკი ჯარიმა; კაშენს, დორიოს, მიდოლსა და მონმუსსეს 13 თვის ციხე და 3.000 ფრანკი ჯარიმა.

## გაფიცვების საწინააღმდეგო ზომები საფრანგეთში.

კამპანიასთან დაკავშირებით, რომელსაც აწარმოებს მოქმედების კომიტეტი და კომპარტია მაროკოსა და სირიის ომის წინააღმდეგ, საფრანგეთში სწარმოებს პოლიციის გაძლიერებული მობილიზაცია როგორც პარიზში, ისე პროვინციალურ ცენტრებში. მიღებულია ზომები ხელი შეუშალონ საპროტესტო გაფიცვებს და გაგზავნილია პარიზში საზღვაო ბრიგადები, რომლებმაც გაფიცვების შემთხვევაში უნდა შესცვალონ ტრამვაისა და ავტომობილების მუშა-მოსამსახურეები.

## „ხელი შორს ჩინეთისაგან.“

საერთაშორისო მუშათა დამხმარე საზოგადოებამ მოაწყო ამსტერდამში საპროტესტო მიტინგი ლოზუნგით—„ხელი შორს ჩინეთისაგან“. მიტინგი ბრწყინვალედ ჩატარდა. ედდო ფიმენმა სასტიკად გააკრიტიკა მეორე ინტერნაციონალის პოზიცია, რომელმაც უარი განაცხადა ჩინეთის რევოლიუციონერთა დახმარებაზე და მოუწოდა ჰოლანდიის პროლეტარიატს მხარი დაუჭირონ ჩინეთის მუშებს განმათავისუფლებელ ბრძოლაში.

რეზოლიუცია პროტესტს გამოსთქვამს იმპერიალისტების ძალადობის წინააღმდეგ ჩინეთში.

# საბჭოთა კავშირში

## მოსკოვის საბჭოს თანაგრძნობის დეპეშა ბრამლის გარდაცვალების გამო.

მოსკოვის საბჭომ გაუგზავნა ინგლისის ტრედიუნიონების (პროფკავშირების) მთავარ საბჭოს შემდეგი დეპეშა: „მუშათა, გლეხთა და წითელ-არმიელთა დეპუტატების მოსკოვის საბჭოს პრეზიდიუმი ღრმა თანაგრძნობას გამოსთქვამს ინგლისის ტრედიუნიონების მთავარი მდივანის, მოსკოვის საბჭოს საპატიო წევრის-ბრამლის გარდაცვალების გამო.

## „აზნეფტის“ საბინაო აღმშენებლობა.

„აზნეფტის“ (აზერბეიჯანის ნავთის საწარმო) სააღმშენებლო კომიტეტი ღებულობს 1925-26 წელში საბინაო სააღმშენებლო ოპერაციებზე 4 მილიონი მანეთს.

უკანასკნელ 3 თვის განმავლობაში დახარჯულია საბინაო აღმშენებლობის საქმეზე 336.000 მანეთი.

## საპასუხისმგებლო სამუშაოზე.

იანვრის თვიდან სექტემბრამდი აზერბეიჯანში წამოყენებულია საპასუხისმგებლო სამუშაოზე 291 კაცი, რომელთა შორის არის სამი უპარტიო და 147 კაცი დაზგის მუშები.

## მსუბუქ ავტომობილების დამზადება იჟევსკის ქარხანაში.

ჩრდილო-დასავლეთ მრეწვ. ბიურომ თათბირზე დაადგინა მოაწყოს იჟევსკის ქარხანა მსუბუქ ავტომობილების დასამზადებლად. გეგმაში 100 ავტომობილის გამოშვება ყოველ თვიურად.

## ახალწვეულთა შეხვედრისათვის.

### ძველმსახურთა როლი.

სულ მალე არმიის რიგებში შევლენ ახალი ძალები. ყაზარმაში ყოფნის პირველ დღეებში ისინი დაინახავენ 1902 წლიან წითელ არმიელებში თავიანთ უახლოეს ამხანაგებს. მხოლოდ ამათ მიმართავენ ახალგაზრდები მათთვის საინტერესო სამხედრო სამსახურის, ან სამხედრო საქმის საკითხების ახსნა-განმარტებისთვის. საკითხები ყოფა-ცხოვრების, დისციპლინის, უფროს და ხელქვეით მსახურთა შორის ურთიერთობის, ამა თუ იმ საგნის მნიშვნელობა სამხედრო საქმეში დასხვა—ყოველივე ამის გაგება საინტერესო იქნება ახალწვეულისთვის.

ძველი მსახური წითელ არმიელი მომზადებულ უნდა იყოს ამისთვის და უბრალო გასაგები პასუხით შეეძლოს ახსნა-განმარტების მიცემა. ამოცანა არც ადვილია, მაგრამ თუ სათანადო მომზადება ექნება ძველ მსახურს, მისი შესრულება შეიძლება. ამ მომზადებისთვის დრო ცოტა და დარჩა. არ უნდა დავკარგოთ ერთი წუთიც; უნდა დავაწვეთ იმაში მეცადინეობას, რაშიაც სუსტად ვგრძნობთ თავს, რაც რაიმე მიზეზის გამო არ გაგვივლია: საერთოდ უნდა შევავსოდ ნაცდურებ სამხედრო სწავლებაში.

ახალწვეულთა დიდი ნაწილი მოვა სამხედრო საქმის ერთგვარი ცოდნით, როგორც მაგ. წვევამდე მომზადება გავლილები. ეს ყველაზე უფრო ავადღებულებს ძველ მსახურს რაც შეიძლება უკეთ მოემზადოს რათა შემთხვევით არ შერცხვეს.

პირველ ხანებში ახალგაზრდა წითელი არმიელი დაუკვირდება და გაეცნობა იმ გარემოებას, რომელიც მის გარშემო იმყოფება. აქ მას დაებადება საკითხების მთელი რიგი ყაზარმულ ცხოვრების შინა წესრიგის შესახებ. ძველი მსახური მზად უნდა იყოს კარგად აუხსნას, თუ რატომაა ყაზარმაში სასტიკი წესი და სისუფთავე, რა არის დისციპლინა, რა ურთიერთობა არის დაწესებული არმიაში უფროს და ხელქვეით პირთა შორის და სხვა.

ასეულში მისვლის შემდეგ ახალგაზრდები მიიღებენ შაშხანებს. პირველ ყოვლისა მათ უნდა აუხსნათ, თუ როგორ უნდა შეინახო და სწმინდო შაშხანა, რომ ის ყოველთვის იყოს ისე, როგორც წესი და რიგია. წესრიგზე შენახული შაშხანა ბრძოლაში არას დროს არ გიღალატებს და ყოველთვის გიხსნის გაჭირვების დროს. მაგრამ, თუ რომ მას დაუდევრად მოეპყრობი, არ გეყვარება ის და მუდამ არ მოუვლი, იმ შემთხვევაში ნუღარ ელი მისგან შველას საჭირო დროს.

მაშასადამე უნდა უფრთხილდე, გიყვარდეს და მოუარო შაშხანას, როგორც საუკეთესო მეგობარს.

საერთოდ უნდა ითქვას, რომ ძველი მსახური კარგად უნდა მოემზადოს იმ სამხედრო საგნებსა და საკითხებში, საიდანაც იწყება ყაზარმაში ახალწვეულის პირველი ნაბიჯი, პირველ დაწყებითი სწავლა.

არ უნდა დავივიწყოთ, რომ ახალგაზრდა წითელი არმიელი განსაკუთრებულ შთაბეჭდილებით იმახსოვნებს იმას, რასაც პირველად დაინახავს, გაიგონებს და იგრძნობს ყაზარმაში ყოფნის პირველ დღეებში.

პ.

### უმცროს მეთაურთა როლი.

ახალგაზრდებს შორის სწავლების მთელი სიმძიმე აწვება უმთავრესად უმცროს მეთაურებზე. მათ პირად მომზადებაზე და თავის ცოდნის სხვაზე გადაცემის უნარზე დამოკიდებულ იქნება შემდეგი სწავლების წარმატება, და მაშასადამე ნაწილის საბრძოლო მომზადება.

ყაზარმაში მოსვლის პირველი დღიდანვე ახალწვეულებმა უნდა დაინახონ მეთაურის სახით თავისი უფროსი ამხანაგი და ავტორიტეტული (მცოდნე) უფროსი, პირველ ხანებში ახალგაზრდა მოიწყენს სოფელზე. ამიტომ ის უნდა მიიღო ალერსიანად და ყურადღებით მოეპყრა მის განცდებს. უნდა მისცე მას საშუალება გაერკვეს, შეეჩვიოს, შეეთვისოს მისთვის ახალ გარემოებას, ყაზარმულ ცხოვრების წესრიგს, ხოლო შემდეგ შეუმჩნევლად გადახვიდე მეცადინეობაზე. მაგრამ იმავ დროს აუცილებელია, რათა ახალწვეულმა ერბაშად იგრძნოს, რომ წითელ-არმიაში არის მტკიცე დისციპლინა, სამაგალითო წესრიგი და ძმური, მეგობრული ურთიერთობა.

მაშ, ერთის მხრივ-ყურადღება და პატივისცემა მეთაურთა მხრივ, ხოლო მეორეს მხრივ მტკიცე წესრიგი და შეკავშირებულობა იმ თავითვე შექმნის ახალწვეულში ნამდვილ, სწორ წარმოდგენას წითელი არმიის შესახებ და გამოიწვევს მათში ლტოლვას სამხედრო ცოდნათა შეძენისადმი. მეცადინეობისათვის ასეთი კეთილსასურველი პირობების შექმნის შემდეგ გადადიან სწავლებაზე.

უმცროსი მეთაურმა, რომელიც გამოდის მასწავლებელის როლში, სავსებით უნდა იცოდეს და შეეძლოს გადასცეს თავის მოწაფეს ყველაფერი, რაც შედის პირველდაწყებითი სწავლების პროგრამაში. მხოლოდ ასეთ პირობებში ექნება უმცროს მეთაურს ავტორიტეტი თავის ხელქვეითთა შორის. თავიდა თავია სცდილობდეს მეთაური მასწავლებელი განავითაროს ახალწვეულში სიყვარული სამხედრო საქმისადმი.

ამრიგად, გარდა ახალგაზრდა წითელ-არმიელისადმი გამოცდილად მიდგომისა, უმცროს მეთაურს მოეთხოვება სამაგალითო პირადი მომზადება, რათა წარმატებით ჩაუყაროს საფუძველი სამხედრო ცოდნას მომავალ წითელ მეომარში. ამრიგად უმცროს მეთაურმა ახალწვეულების მოსვლამდი დარჩენილი დრო სავსებით უნდა გამოიყენოს თავის ცოდნათა გასაღრმავებლადა და გასაფართოებლად. უმცროს მეთაურს უნდა ახსოვდეს, რომ მომავალ შევსების საბრძოლო მომზადება მის ხელშია.

პრ.

## მტკიცე ფასები ნავთის ნაწარმოებზე.

შინა ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულმა გამოიმუშავა შემდეგი ფასები ნავთის ნაწარმოებზე ქ. ბათუმში: ნავთის ფასი—ფუთი 1 მ. 55 კაპ., ბენზინი 4 მან. 78 კაპ., მანქანის ზეთი—3 მან. და 75 კაპ.

## რევოლიუციის ჯარის კაცი.*)

(დასასრული).

შაქრომ პირველი წერილი უკვე აფრინა მაროსთან, სადაც ის ვერ მალავს ლეგიონში მიღებულ აღტაცებას...

ის სწერს, თუ როგორ დაიცავს მრავალ ბრძოლებში კალთებ დაფლეთილ წითელ დროშას, რომელსაც ამშვენებს შრომის მეუფების სიმბოლო, ჩაქუჩნამგალი, ხუთქიმიან ვარსკვლავის გვირგვინით..

სანეტარო ფერებით ასწერა სამხედრო ცხოვრება...

წერილი ახე დაათავა, რომელსაც შემდეგ ხშირად დამღეროდა ხოლმე თან წამოღებულ ფანდურზე:

— მარო, წითელ ფიცით ვდგევარ,
შრომის საგუშაგოზედ;
რათა, თუ მტერი გამოჩნდა,
ბასრ ხიშტზე ავაგო ზედ...
ვდგევარ ცალ ხელში შაშხანით,
მეორეში წიგნითაო;
უნდა დავიცვა კომუნა
გარედან და შიგნითაო...

5.

ღამეა...

სძინავს ბანაკს...

ბანაკიდან მარცხნივ საწყობი ლეგიონის..

საგუშაგოზე შაქრო...

მისი თვალები ცეცხლის ხედვით ზვერავენ მიდამოს...

ის თოფით მხარზე უვლის საგუშაგოს..,

ვარსკვლავებით ასევადებული უმთვარო ცა...

ნიავს მინდვრით მოაქვს ყვავილთა სურნელოვნება...

ისმის მწერთა ჰარმონიული ხმაური...

შორს, ქალაქის თავს ელექტრონ შუქი ავარაყებს...

გრძლად განრთხმულ ლიანდაგზე ორთქლმავალი მიგუგუნებს, კივილით...

შაქრო თოფზე ეყრდნობა, ფიქრ ატეხილი...

მისი გონების თვალწინ კინო-ლენტისავით მიჰქრიან მოგონებათა სურათები: სოფელი, დედა, ტოლ-ამხანაგები, ტყე, ტიტანიური მთები, ველ-მინდვრები, ვენახები, გადაჭიმული ნაფუზარ-ხოდაბუნები, მთით მოგლეჯილი ღრიალით ველურ ხეობაზე ფაფარ აყრილი მდინარე, და... ის... ვინც თავზე უკედ ურჩევნიან, ვისი სიცოცხლითაც სცოცხლობს, ვისი სუნთქვითაც სუნთქავს, ვისთვისაც უმღერის გულის საიდუმლო კუნჭულში მიმალული ქნარი, რომლის სიმებიც თრთიან, როცა მოიგონებს სახელს:

— მარო...

— ორიოდ თვე კიდევ, ორი, და..

ჩურჩულებს თავისთვის, თოფს მაგრად იხუტებს გულში, ჰკოცნის...

მის წინ მხოლოდ მაროს ხატებაა, მაგრამ...

— ჩუ!..

შეკრთა...

რაღაცა ცივი საგანი შეეხო მის ტუჩებს...

შეაჟრჟოლა...

—ჰმ!..

ჩაეცინა, რა ხიშტის წვერს შეხედა...

თოფი მარო ეგონა, რომ იხუტებდა, ხიშტზე კოცნა მაროს ტუჩების ალანდება...

თუმცა თავის საქციელისა შერცხვა, მაგრამ უკმაყოფილო იყო ხიშტის, რომლის ცივმა შეხებამ სანეტარო ჩვენება გაუქრო...

ბოლოს მადლიერი დარჩა..

— შენ რომ არ გამოგეფხიზლებინე, ვინ იცის...

ჩაულაპარაკა ხიშტს, თითქოს სულიერ არსებას ელაპარაკებოდა ვისმეს, და საწყობს შემოუარა მზრუნველობით...

თავისთავს ჰკიცხავდა, რომ ასეთი სისუსტე გამოიჩინა, თუნდაც რამოდენიმე წუთით, საგუშაგოსადმი.

უყურადღებობა საგუშაგოზე, თავის ნებით გადასვლას უდრის მტრის ბანაკში..

— მერე და რამე უბედურება რომ მოსვლიყო საწყობს?!

გაუელვა შიშნაკრავ ფიქრმა და აიწურა...

მან იცოდა, რომ მუშათა და გლეხთა რესპუბლიკას ჯერ ბევრი მტრები ჰყავს კიდევ, და სირცხვილით დაიწვა...

მერე და რაღა უნდა ექნა მაშინ?.. როგორღა გამოეყო თავი ამხანაგებში?.. რა პირით წარმდგარიყო რევოლიუციონურ სამსჯავროს წინაშე?.. ვით გადარჩენილიყო კანონის რისხვას?..

— მაშინ ხომ ვეღარ ვნახავდი ჩემს მშობელ სოფელს, დედას, მაროს?!.

წარმოსთქვა ელდა ნაკრავმა და სიფხიზლე გააძლიერა...

გარდა თავის მოვალეობისა არაფერზე ფიქრობს...

შუაღამე გადასცილდა...

მორიელისკუდა ხომლი დასავლეთისკენ გადაიხარა...

— ვინა ხარ?!

შეეკითხა ის, რა საგუშაგოსკენ მომავალი სამი აჩრდილი შეამჩნია და თოფი მოიმარჯვა...

— განმრინებელი?

მოესმა პასუხად.

ხმაზე იცნო, მიუშვა...

ახალმა გუშაგმა გასანდო უთხრა, რის შემდეგაც ჩააბარა საწყობი, ყოველი წესის შესრულებით...

განმრინებელს აჰყვა...

ბანაკისკენ დაეშვა...

კარავმა თეთრი უბე გაიხსნა და ჩაიხუტა...

შაქრო წამოწვა ნარზე, მაგრამ მის თვალებს ძილი არ ეკარება; ფიქრებში დაინისლა; თუნდაც წუთიერი უყურადღებობა, საგუშაგოზე, სინდისით ჰქენჯნის, მიუხედავად იმისა, რომ ის საუკეთესო მოლაშქრედ ითვლება...

სიომ იალქნები აღმართა..

განთიადის წინ ნისლმა შებურა ქედები, და ცა აიმრიზა...

ბანაკი ელის ავრორას, რომელიც ვარდის თითებით აჰკეცავს ხელთუქმნელ შავ მანტიას, მზის სამაყრიონოდ...

მებუკე გამოდგა საყვირით..

ბანაკი შეინძრა...

ხ. ერ—ლი.

*) იხ. გაზ. „წითელ არმიელი“ № 232.

# ახალ წვეულის მოსვლის წინ.

## ახალწვეულები მოდიან.

**შესაკრებ პუნქტთან.**

დილაა. მხიარული სახეები ახალწვეულებისა მოუთმენლად ელიან კომისრის მოსვლას. გაჰქრა ის დრო, როდესაც ე. წ. „ნოვობრანცებს“ მონარქიული ხელისუფლება ჯოხით და პოლიციის საშუალებით იწვევდა ჯარში. გაჰქრა ის დრო, როდესაც ახალგაზრდებს, გაუბედურებული დედ-მამა, კომისიის სადარბაზო ოთახამდე ტირილ-ქვითინით აცილებდა, რადგან დარწმუნებული იყვნენ, რომ მათი შვილები ყაჩაღურ ომის მსხვერპლი შეიქნებოდენ.

დღეს კი სულ სხვა სურათია.

ახალწვეულები ხალისიანათ მოიშურებიან წითელი ჯარისაკენ, ზოგ მათგანს კომისიის დასკვნაც არ უნდათ, დარწმუნებული არიან რა თავის ჯანმრთელობაში და პროლეტარულ რწმენაში.

**კომისიის სხდომა.**

მოდის კომისიაც.

სინჯავენ მისაღებ ახალგაზრდებს, ირკვევენ ჯანმრთელობას, ავადმყოფობას და სხვა.

—ამხ. აქიმო! მე არ მინდა გასინჯვა ძლიერ ჯანმრთელად ვგრძნობ თავს; ერთი კოვზი წამალიც კი არ დამილევია ჩემს სიცოცხლეში. ისეთი მაჯის ძალა მაქვს, რომ ბურჟუა—კაპიტალისტებს დაუბნელებ სახეს; —ამბობს ახალწვეული ვასო.

—იქნებ შინაგან ავათმყოფობა გაქვთ რაიმე? გული ან ფილტვები?

—არავითარი ამხ. აქიმო?

შეამსეს ამხ. ვასოს ანკეტა ცოტა რაღაც კიდევ დაჰკითხეს და გაგზავნეს საარტილერიო ლეგიონში, როგორც ზედმიწევნით ჯანმრთელი ადამიანი.

**ყველა მხიარულია, ყველა ხალისიანობს.**

რიგი-რიგს მიყვება; ახალწვეულები შედიან კომისიის სხდომაზე: რამოდენიმე ხნის შემდეგ ისევ ბრუნდებიან მხიარული, პირმცინარე სახეებით ისინი უზიარებენ თავიანთ შთაბეჭდილებას, კომისიის სხდომაზე ჯერ კიდევ შეუსვლელ ამხ. ახალწვეულებს.

—მე ცხენოსანში მიმიღეს, ამბობს ერთი, მე ფეხოსანში, მე ავიაციაში, მეოთხე კიდევ სხვა რაიმე სპეციალურ-ტეხნიკურ ნაწილებში და სხვა.

საერთო მხიარულება, ერთამული, საუბარი, ყველას სურთ მალე დაიწყონ სამხედრო სამსახური, ჯარის რიგებში.

წითელი ყაზარმა, თავის მხრივ მოუთმენლად ელის შემოდგომის ახალწვეულებს, რომლებსაც მიღებისთანავე გულში ჩაიკრავს, და გამოზრდის ოქტომბრის რევოლიუციის მედგარ დარაჯებად როგორც საუკეთესო მხედარ—მებრძოლებს და სამაგალითო შეგნებულ მოქალაქეებს.

ჩვენი მხედრული სალამი შემოდგომის ახალწვეულებს!

დაგო.

## ხშირად ასეთი წარმოდგენები.

9 ოქტომბერს სანიტარულ განათლების სახლში (ევანგულოვის ქუჩა) დადგმული იქნა სანიტარული ხასიათის პიესები, სადაც მოწვეული იყო წ. არმიელებიც.

წარმოდგენის დაწყების წინ მოვისმინეთ ექიმის მოხსენება, სადაც ნათლად იქნა აღნიშნული მალარიის, ჰლექის და სხვათა შესახებ.

ასეთი წარმოდგენები დიდათ საინტერესოა ყველა ოდნავ მაინც შეგნებულ წითელ მოლაშქრისათვის. აქ სცენაზე ჩვენ დავინახეთ, თუ როგორ ღუპავს კაცობრიობას, ჰლექი რომელიც ასე გავრცელებულია ჩვენს ქვეყანაში; აგრეთვე დავინახეთ სოფლის ექიმბაშების და მკითხავების მოქმედება, რომლებიც აწყუებენ სოფლის გლეხობას და უდროვოდ ასალმებენ მრავალ ახალ გაზრდობას სიცოცხლეს. ყველა ეს ჩვენთვის უფრო თვალსაჩინო შეიქნება მის შემდეგ, რაც ხშირად ვივლით ასეთ სანიტარულ წარმოდგენებზე და გავეცნობით სხვა და სხვა სახის ცრუ მორწმუნეობას.

სასურველია ხშირად მოეწყოს ასეთი სანიტარული წარმოდგენები წითელ არმიელებისათვის, რომ უვადო შვებულებაში წასვლისას მუსრი გავავლოთ სოფლის ექიმბაშებს და გაიძვერა მკითხავებს. ხსენებული სანიტარული სახლის გამგე და ყველა მისი ხელმძღვანელები დიდი მადლობის ღირსი არიან ჩვენგან.

გაუმარჯოს მათ მუშაობას მშრომელი ხალხის თვალის ასახილველად.

სამხკორი ვ. ჯ—ძე.

## ქალთა მუშაობა ჩვენთან.

**2-რე ლეგიონი.**

ჩვენს ლეგიონში ჯერ კიდევ 1924 წ. დაარსდა ქალთა ორგანიზაცია. მართალია პირველად მთელი მისი მუშაობა გამოიხატება იმაში, რომ ნაწილის ლენინის ოთახს შესწირეს ერთი დიდი სტოლსაფარი, მაგრამ სამაგიეროდ წელს დიდი გამოცოცხლება დაეტყო ამ ორგანიზაციას. მთელი ენერგიით სურთ ჩაებან ლეგიონის საერთო კულტურულ საქმიანობაში. ორგანიზაციაში წევრებად შედიან ლეგიონის უფ-პოლიტშემადგენლობის ოჯახებიდან. აღნიშნულმა ორგანიზაციამ 5 ოქტომბერს მოაწყო ლეგიონში შაბათობა და მოახდინეს ლეგიონის კლუბის გენერალური წმენდა. ორგანიზაციამ აქედან დაიწყო თავისი საქმიანობა.

იმედია ეს ორგანიზაცია არ შეანელებს თავის ინტერესს დაწყებული საქმისადმი და თამამად შეუდგება ლეგიონში კულტურულ საქმიანობას.

გაუმარჯოს მათ მუშაობას.

სამხკორი ლალიკო.

## მეთაურთა სკოლის ცხოვრებიდან.

წარსულ წლებთან შედარებით წელს ახალ კურსანტთა მცირე რაოდენობა იქნა მიღებული.

ამასთან დაკავშირებით (და სხვა მიზეზთა გამო) შემცირდა თანამშრომელთა, მეთაურთა და მასწავლებელთა რაოდენობაც...

ყველა მუშაკნი—მასწავლებლები, მეთაურები და კურსანტები თავმოყრილი არიან!

ამ დღიდან იწყება ნამდვილი, ახალი სამოსწავლო წელი.

6 ოქტომბერს მოხდა პედაგოგიურ საბჭოს გაერთიანებული სხდომა. მოსმენილი იქმნა მრავალი მოხსენება და შეხედულებანი სწავლის წესზე და მეთოდებზე, კურსანტთა შესწავლაზე, მუშაობის აღრიცხვაზე, კურსანტთა გამოცდაზე, როგორც სამოსწავლო პროგრამის—ისე სკოლის გარეშე მუშაობის ფარგლებში და სხვა.

სამოსწავლო ნაწილის პროგრამაში შეტანილი იქნა რამოდენიმე შესწორება.

რამოდენიმე გადასაჭრელი (მოსაგვარებელი) საკითხი გადაეცა ძირითად კომისიებს!

სხდომამ მთავარი ყურადღება მიაქცია კურსანტთა—შრომის თვით-აღრიცხვას და ნორმალური სწავლებისათვის დროს საზრიანად გამოყენებას!

8 ოქტომბერს მოხდა საკლუბო საბჭოს სხდომა, რომელმაც გამოიმუშავა და დაამტკიცა სამი თვის საწარმოო გეგმა; აგრეთვე მიმდინარე თვის (ოქტომბრის) კალენდარული ცხრილი, რომლის მიხედვითაც პარტ-განათლება და საზოგადოებრივ-მეცნიერებაზე საუბრები იქნება—ოთხშაბათობით და პარასკეობით, კინო—ოთხშაბათობით, ექსკურსიები—კვირაობით.

წრეები: დრამატიული, ლიტერატურული, სამხკორთა, მომღერალთა და სხვა იმუშავებენ სამშაბათობით.

სხდომამ დაადგინა: მიმდინარე თვეში გამართოს ორი საღამო—წითელარმიელთა ძალებით 22-ს და კურსანტთა ძალებით 30 ოქტომბერს. ამასთანავე წრეები უნდა შეუდგნენ ოქტომბრის დღესასწაულისათვის სამზადისს.

სამხკორი ხ. განი.

## 2-რე ლეგიონი ექსკურსიაზე.

1 ოქტომბერს ლეგიონში დარჩენილი ყველა არმიელები გაემგზავრენ ექსკურსიაზე აჭარისტანის სახელმწიფო თამბაქოს ქარხნის „ვასტოკის“ დასათვალიერებლად.

ქარხანაში მისვლისას დიდი სიხარულით შემოგვეგებენ, მოგვესალმენ და წაგვიყვანეს მუშა მოსამსახურეებმა და დაწვრილებით გვაძლევდენ ახსნა განმარტებებს.

ჩვენ სავსებით გავეცანით მუშა-მოსამსახურეების პოლიტიკურ და კულტურულ მდგომარეობას.

სულ ქარხანაში 136 მუშა ვმუშაობს, თითქმის ყველა ეროვნებიდან. არის კომუჯრედი რომლის შემადგენლობაში შედის 20 პარტიის წევრი 1 კანდიდატი და 20 ახკომკავშირის წევრი.

გავეცანით მუშების ხელფასსაც. მათ კარგად იციან რაზედ არის დამოკიდებული ხელფასის მომატება და არავითარ უკმაყოფილებას ადგილი არა აქვს.

ქარხნის შრომის ნაყოფიერების ზრდა 24 წელთან შედარებით 10 პროც. გაზრდილა მიმდინარე წელში.

გავეცანით აგრეთვე თუ რამდენად საღდება ბაზარზე ქარხნის ნაწარმოები. დაწვრილებით დავათვალიერეთ გლარჯის მილების დასამზადებელი მანქანები და დიდი ინტერესი გამოიწვია მუშების სპეციალიზაციამ, რომლებიც თვალის დახამხამებაში ასრულებენ თავის საქმეს.

ქარხანაში მუშაობის გათავების შემდეგ მოეწყო მიტინგი. მუშებმა მრავალი პაპიროსებით დაასაჩუქრეს წითელარმიელები და თან ესაუბრებოდენ სხვა და სხვა საკითხებზე.

მისასალმებელი სიტყვებით გამოვიდენ როგორც მუშები ისე წითელ-არმიელები. პირველნი მოუწოდებდენ მუშურგლეხურ ხელისუფლების სადარაჯოზე მტკიცედ დგომას და მეორენი კი ფიცს იძლეოდენ ამის პირნათლად ასრულებისათვის. ასე დათავდა ჩვენი ექსკურსია, რომელმაც ძლიერ კარგი შთაბეჭდილება დასტოვა.

სამხკორი ვ. ღ.

## კლუბის გამგემ ყურადღება უნდა მიაქციოს.

**ქართ. მეთ. სკოლა.**

ხსენებულ სკოლის კლუბში ხშირად იმართება კინო-სურათები, რაც დიდ ინტერსს იწვევს კურსანტებში და თანამშრომლებში.

სამწუხაროდ ჩვენს კლუბში თითქმის ყოველთვის შემოდიან მცირე წლოვანი ბავშვები, როგორიც არიან მეჩისტეები, წვრილი სპეკულიანტები და სხვა. კლუბში დიდი სივიწროვეა ადგილის და ამასაც ესენი იკავებენ.

კურსანტები კი ფეხზე ვდგევართ. ეს პატარა ბავშვები კი ყვირიან კლუბის შენობაში და ერთი აურზაური აქვთ. კლუბის გამგევ მიაქციეთ ამას ყურადღება. მოგვეცით თავისუფლად, სურათების ყურების საშვალება.

სამხკორი ალ. გაგუა.

## ექსკურსია ქ. ტრამვაის პარკში.

**მეთაურთა სკოლის არმიელები.**

10 ოქტომბერს ქართულ გაერთთიანებულ მეთაურთა სკოლის უმწყობრო და სამწყობრო გუნდის არმიელები წაგვიყვანეს ტრამვაის პარკის დასათვალიერებლად. პარკმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ჩვენზე. ადგილობრივი მუშა დიდი გულმოდგინეობით გვიხსნიდა ყველაფერს. ბოლოს გვაჩვენეს მანქანებიც. საერთოდ ექსკურსიამ ძლიერ ასიამოვნა არმიელები.

კარგი იქნება ჩვენი მეთაურები ხშირად მოაწყობდენ ასეთ ექსკურსიებს და დაგვათვალიერებიებდენ ქალაქის ყველა საყურადღებო ფაბრიკა-ქარხნებსა და დაწესებულებებს. ეს ბევრ რამეს შეგვძენს ჩვენ და თამამად შეგვიძლია ვესაუბროთ სოფლად დაბრუნების შემდეგ გლეხებს მათ შესახებ.

წ. არმ. ალ. ქაშიბაძე.

## ჩვენი ლეგიონის „მფრინავი“ ბატარეია.

**1-ლი არტ. ლეგ. 4-ხე საგ. ბატარეია.**

წითელ-არმიელებმა ჩვენს ბატარეიას ზედმეტ სახელად მფრინავი ბატარეია უწოდეს. ეს სახელი მართლაც ზედ გამოჭრილია მისთვის. არ გეგონოთ რომ მას ჰაეროპლანები ჰქონდეს და ისე დაფრინავდეს.. არა. ჩვენი ბატარეია ჩვეულებრივად ცხენებით, ორთვალეებით, ოთხთვალეებით და ქვემეხებით არის აღჭურვილი, მაგრამ მაინც ფრინავს... და აი როგორ: დიდ ხანს ჩვენ არც ერთ ადგილზე, არც ერთ ყაზარმაში არ ვათევთ, გადავდივართ-გადმოვდივართ და სულ მოუსვენარობაში ვიმყოფებით და ისეთივე მსუბუქად და დაუზიანებლად გადაგვაქვს ყველა ნივთები, როგორც ეს ფრენით შეიძლება მხოლოდ მოხდეს. სახაზინო ქონების მოვლის ინსტიქტი იმდენად განვითარებულია ჩვენს არმიელებში, რომ ერთ ტალახიან ჯოხსაც კი, თუ ის სახაზინოა არ დაჰკარგავენ. ზედმეტია ლაპარაკი სხვა საგნებზე.

მათზე ყველას ფხიზლად უჭირავთ თვალი და ისე უვლიან როგორც საკუთარ თვალის ჩინს.

გადავალთ თუ არა ერთი ადგილიდან-მეორეზე, პოლიტ-ხელი მთელი წითელ-არმიელთა აქტივის მოხმარებით ფრონტალად შეუდგება ლენკუთხეების გაჩაღების საქმეს. რამოდენიმე დღის განმავლობაში ყველაფერი საუცხოვოდ ეწყობა და ჩაღდება მეცადინეობა.

ამ უკანასკნელად ერთი კიდევ გადავფრინდით და შეუდექით ახალწვეულებისათვის მიღების სამზადისს. ყაზარმა თავისი კუთხეებით და კლუბით სამაგალითოდ მოეწყო. ლენკუთხეებში სისტემატიურად მიმდინარეობს პოლიტ საათები, საუბრები, ჟურნალ გაზეთების კითხვა და ახალი სტუმრების შეხვედრის სამზადისი.

თითეულ ძველ წ. არმიელს თამამად შეუძლია უხელმძღვანელოს პოლიტსაათებშიც კი ახლად მოსულებს.

ასეთია ჩვენი „მფრინავი“ ბატარეის ცხოვრება.

წ. არმ. გრ. ბარათაშვილი.

## ახალი მეთაურები ჩვენთან.

**1-ლი ლეგ. ბატარეია.**

ჩვენს ბატარეიაში მოვიდენ ახლად კურს დამთავრებული ოთხი უნცროსი მეთაური.

ამ ამხანაგებმა დაამთავრეს 1-ლი არტლეგიონის უნცროს მეთაურთა სკოლა.

მათ ბევრი რამ შეუძენიათ რვა თვის განმავლობაში. ახალწვეულებს ამ ამხანაგების სახით დახვდებიან კარგად მომზადებული და ნამდვილი ამხანაგი მეთაურები, რომლებსაც შეგნებული აქვთ თუ როგორ უნდა მოეკიდონ მათ.

ძველებთანაც გამოიჩინეს ამხანაგებმა საკმაო ცოდნა და შეთვისებითი უნარი, მით უმეტეს იმედია კარგად დახვდებიან ისინი ახალწვეულებს და დაიმსახურებენ საუკეთესო უნცროს მეთაურების სახელს.

სამხკორი ცეცხლი.

# პარტიული ცხოვრება

ქართ. მეთ. სკოლა.

მას შემდეგ რაც დასრულდა საზაფხულო პერიოდი სკოლაში პარტ-მუშაობა ცოტა შეჩერდა. ამის მიზეზები იყო ბანაკიდან წამოსვლა, ზოგიერთ კურსანტების მეთაურებათ გამოშვება, ზოგის კი შვებულებაში გაშვება და შემდეგ მივლინება ტერ-ლეგიონებში და სხვა, მაგრამ მიუხედავად ამისა, ბიურო მაინც არ სწყვეტდა თავის მუშაობას; მან გაუმზადა გამოსაშვებ კურსანტებს პირადი საქმეები და საერთოდ მომავალში სამუშაო თეზისები. აგრეთვე განსაკუთრებულად მომზადებული წავიდენ კურსანტები შვებულებაში და იქიდან მივლინებაში ლეგიონებში. ყველას გადაეცა თეზისები და წესდებები, რომლებიც უშუალოდ ბიურო კოლექტივმა დაამზადა.

მას არ გაუწყვეტია აგრეთვე კავშირი სამხ. და სამოქალაქო დაწესებულებების უჯრედებთან და საშეფო სოფლებთან. მართალია მთელი სკოლის ძალები დაქსაქსული იყო სხვა და სხვა ადგილებში, მაგრამ ბიურო კოლექტივი მაინც იდგა თავის სიმაღლეზე.

არ შეფერხებულა არც ერთი თვითმოქმედი ორგანიზაციების მუშაობა. სწორედ ამიტომ იქ საერთო კრების მიერ დამაკმაყოფილებლად ცნობილი მისი მუშაობა.

მომავლისათვის ბიუროს გათვალისწინებული აქვს თუ რა უნდა აკეთოს. გამომუშავებულია სამუშაო გეგმა.

გასულ წელში ჩვენ დაგვრჩა გაუვლელი პარტ-სკოლის პროგრამა. წელს განსაკუთრებით დიდი ყურადღება აქვს მიქცეული ამას. პარტ. და კომ-კავშირის შემადგენლობა უკვე დაყოფილია ცალკე ჯგუფებათ და თითეულ მათგანს დანიშნული ყავს საუკეთესო ხელმძღვანელები. მათ უნდა გაიარონ 1-ლი და მე-2 საფეხურის პარტ-სკოლის პროგრამა. ბიურო კოლექტივმა შეიძინა პარტ-ამხანაგებისათვის მრავალი პარტიის წესდებები, პროგრამები და სხვა და სხვა წიგნები.

ასეულის უჯრედებს უკვე დაინდა ბიურო კოლექტივის ხელმძღვანელობა. მუშაობის ხაზი სწორედ არის აღებული და ყველა პარტიის წევრი, კანდიდატი, ბ. კ. წევრი და კურსანტი ვალდებულია ხელი შეუწყოს ყველა თვითმოქმედ ორგანიზაციების მუშაობას და სისწორით გატარებას, რაც თავდები იქნება ჩვენი საერთო გამარჯვებისა.

პარტ-კორი შაქრო.

# წითელ არმიელების წერილებიდან.

## პურის განაწილების დროს უსუფთაობა.

1-ლი ცალკე მესანგრეთა ასეული.

ასეულში პურის გამნაწილებლად დაყენებულია ერთი ამხ. ბატიაშვილი, რომელიც ოდნავად არ იცავს სისუფთავეს. დილას ადგება თუ არა ხელ-პირ დაუბანელი დაიწყებს პურის განაწილებას. როდესაც მივმართავთ ამის შესახებ, გვეუბნება: „რა საჭიროა, ჭამაზე მაინც არავინ იტყვის უარსო". საჭიროა აიძულონ ეს ამხანაგი დაიცვას სისუფთავე, წინააღმდეგ შემთხვევაში გამოსცვალონ. ამაზე სიტყვა ნაწილის მნეს ეკუთვნის. უცდით შედეგს.

წ. არმ. ჭალელი.

## ყურადღებას არავინ გვაქცევს.

2-ე ლეგ. სანიტრების ცხოვრებიდან.

ლეგიონის სანიტარული ნაწილის არმიელები სრულიად უყურადღებოთ ვართ მიტოვებული. არც ვიცით ვინ არის ჩვენი პირადი უფროსი. გამოწვევისას კარანტინში ყოფნის დროს გვითხრეს თქვენ სანიტარულ რაზმში იქნებითო და მეტი არაფერი. ამის შემდეგ ვიმყოფებით სანიტარებათ და ყურადღებას არავინ გვაქცევს არც ტანსაცმელზე და არც სწავლაზე. ლეგიონის ყველა ნაწილებს ყავს საკუთარი პოლიტ-ხელმძღვანელი, ყველა ნაწილების არმიელები სწავლობენ და იძენენ სამხედრო და პოლიტიკურ ცოდნას. ჩვენი ნაწილი კი რჩება სრულიად უვიცი.

დროა ჩვენც მოგვექცეს ყურადღება და შეგვასწავლონ წითელ არმიელის მოვალეობა სხვა ცოტა მაინც რამე.

წ. არმ. ა. სახუმაშვილი.

## მოვალეობას არ ასრულებს.

(5-ე ლეგიონი).

მეხუთე ლეგიონის ქსენონში არის ერთი ექიმის თანაშემწე, რომელიც ხშირად არ ასრულებს ხელების გასვრას. ეს არის ამხ. მეგრელიშვილი. აი ერთი მაგალითი მისი ასეთი მოქცევის. პირველ ოქტომბერს ლეგიონის ექიმმა გამგზავნა ქსენონში წამლის წასასმელად. დამხვდა ამხ. მეგრელიშვილი. როდესაც მივმართე, მიპასუხა, რომ ხელები მაქვს დაბანილი და ვერ წაგისომო. ასეთი შემთხვევები არა ერთი და ორი ყოფილა მისგან. საჭიროა ყურადღებას მიაქცევდენ მის ასეთ მოქმედებას და ბოლოს მოეღებოდეს მის უტიფარ საქციელს.

წ. არმ. ვ. ნოზაძე.

# ახალი ამბები.

— კინოები საკრებ პუნქტებთან. პოლიტსამმართველოსთან არსებული კინო-ბიუროს თაოსნობით, ყველა საკრებ პუნქტებთან უკვე მოეწყო კინოები.

— სამხედრო წრეები. მეორე დივიზიის სამხედრო-სამეცნიერო წრის პრეზიდიუმმა დაადგინა მოაწყოს ზოგიერთ სამოქალაქო ორგანიზაციებში სამხედრო-სამეცნიერო უჯრედები.

— სამხედრო კუთხეები. გადაწყვეტილია მოეწყოს სამხედრო კუთხეები, მბეჭდავთა კლუბთან, ლენინის სახელობის თამბაქოს ქარხანაში და ქართულ და რუსულ მუშფაკებთან.

— მანქანების შეძენა. სახ. მეურნ. უმაღ. საბჭოს გრეხილ ავეჯეულობის ქარხნისათვის მანქანების შესაძენათ საზღვარგარედ სამრეწველო ბანკმა გადასდო სესხათ 150 ათასი მანეთი.

— წამლეულობის შესაძენათ თფილისის აღმასკომმა საექიმო ქვე-განყოფილებას გადასცა 68.325 მანეთი.

— ბამბის მეურნეობა. მიმდინარე საოპერაციო წლის განმავლობაში საქართველოში დაითესება 12500 დესეტინა ბამბა.

— მეცხენეობა საქართველოში. მიწ.-მოქმედ. კომისარიატის ცნობით ამჟამად მთელ საქართველოში ითვლება 60 ათასი სული ცხენი.

— საქართველოს ავიაქიმის ყრილობა მოწვეულია ნოემბერში. ყრილობაზე მოეწყობა ავიაქიმის გამოფენა.

# ბიბლიოგრაფია.

სიფილისი.
ექ. ვ. ჩოხელი
საქ. წითელი ჯვრის გამოცემა
№ 5. ტფ. 1925 წ.

უკანასკნელ იმპერიალისტურ და სამოქალაქო ომმა მძიმე შედეგები დაუტოვა მშრომელ ხალხს, რომლისაგან დაღწევა შესაძლებელია მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების წლობით ბრძოლის შემდეგ. ერთ-ერთი უსაშინელესი სენთაგანი, რომლის წარმოუდგენელ განვითარებას ხელი შეუწყო იმპერიალისტურმა ომმა, სიფილისი—ათაშანგია. ავადმყოფობათა შორის. სიფილისს, ტუბერკულიოზის შემდეგ, ყველაზე მეტი ზიანი მოაქვს კაცობრიობისათვის. ის ათასობით სპობს არსებულ თაობის სიცოცხლეს და თვისი შედეგებით გადაშენებისაკენ მიყავს კაცობრიობა. ის ნოყიერ ნიადაგს პოულობს სოფლის მშრომელს მასებში, რადგან უკანასკნელნი მოკლებულნი არიან საერთო და კერძოდ, ყოველგვარი სანიტარულ და ჰიგიენურ ცოდნას, რაც ყველაზე უფრო ხელსაყრელი პირობებია ამ სენის განვითარებისათვის. სტატისტიკურ ცნობათა მიხედვით დღეს რუსეთის სოფლის მოსახლეობის დიდი უმეტესობა ამ სენით არის შეპყრობილი. საქართველოს სოფლის შესახებ კი ჩვენ არ მოგვეპოვება ამ გვარივე მდგომარეობის საწინააღმდეგო ცნობები, პირიქით ცნობებია, რომ ეს სენი აქაც საშიშ სიჩქარით ვრცელდება.

საბჭოთა ხელისუფლება მშრომელთა გაჯანსაღებისათვის ორ მთავარ ფრონტით იბრძვის: სპობს სანიტარულ უცოდინარობას და შეძლებისდაგვარად მშრომელებს საექიმო დახმარებას უწევს.

ამ ფრონტზე ერთი საპატიო ადგილი უკავია წითელ ჯვარს.

საქ. წითელმა, ჯვარმა გამოსცა მთელი რიგი საექიმო პოპულიარული წიგნებისა. მათ შორის ყურადსაღებია ექ. ვ. ჩოხელის წიგნი „სიფილისი". ეს წიგნი გასაგებ ენით წარმოდგენას იძლევა ამ სენის დამღუპველ მნიშვნელობაზე, მის წარმოშობაზე და აგრეთვე მისგან გასაფრთხილებელ ზომებზე. ვფიქრობთ, რომ აღნიშნულ მიზეზების გამო, ეს წიგნი ძლიერ გამოადგება ჩვენს წითელ არმიელს. ის კარგი დამატება იქნება სანიტარულ საათისათვის. კარგი იქნებოდა ჩვენი დივიზიის სანიტნაწილი გაცნობოდა ამ წიგნაკს.

წიგნი შეიცავს 24 გვერდს, დაბეჭდილია სუფთა შრიფტით კარგ ქაღალდზე. წიგნს დართული აქვს რამოდენიმე სურათი.

ო. ნ.

# პასუხად ამხ. ჯ—ძეს.

გაზეთ „წითელ არმიელის" №230—ში მოთავსებული იყო ამხ. ჯ—ძის წერილი ცალკე საკავშირო ასეულის მიერ შეძენილ ნივთების შესახებ, საუკეთესო მსროლელ წითელ არმიელებისათვის დასარიგებლად. ის თხოულობდა განმარტებას ამ საგნების შესახებ, რასაც სიამოვნებით უპასუხებ:

ნივთების შესახებ, რომელიმე წ. არმიელს რომ მიემართა ასეულის მნისათვის, მიიღებდა უფრო სათანადო ახსნას, ვიდრე სხვა ვინმესაგან, მაგრამ ეს არ ყოფილა. ყველა ნივთები უკლებლად ინახება ასეულში და დაურიგდება იმ წითელ არმიელებს, რომლებიც გამოიჩენენ უპირატესობას სროლაში შეჯიბრის დროს. ეს კი ჯერ არ მომხდარა ასეულში. აქედან ცხადია, რომ ნივთებიც არ დარიგდებოდა.

ეს უნდა სცოდნოდა დამხმარე ჯგუფის თავმჯდომარეს.

ცალკე საკავშირო ასეულის
დრ. მნე ზ. გეგელია,

# პასუხი შეკითხვებზე.

კითხვა. დაბადებული ვარ 1902 წ., 1924 წ. გამოვცხადდი, მარა არ მიმიღეს, 1925 წ. მომითხოვეს, მარა მე მაშინ სახლში არ ვიყავი. შემდეგ გამოვეცხადე ადგილობრივ ხელისუფლებას, მარა არც გამწერეს სამსახურში და არც თავისუფლების ქაღალდებს მაძლევენ.

გვეხება თუ არა სამხ. სამსახური ან როდის?

კვაჭაძე.

პასუხი. დაუყონებლივ უნდა გამოცხადდეთ მაზრის სამხედრო კომისარიატში, სადაც მიწერილი ხართ.

კითხვა. ლეგთავმა და სამხკომმა აღძრა შუამდგომლობა თბილისის საბჭოს სამხედრო სექციის თავმჯდომარესთან სამსახურის შესახებ. ამის შემდეგ საჭიროა თუ არა შრომის ბირჟაში ჩავეწერო?

შვებული წ. არმ. მ—ძე.

პასუხი. გატარება ბირჟაში ყოველ შემთხვევაში საჭიროა.

კითხვა. გამოწვეული ვარ შარშან. ვმსახურებს 1-ლ ლეგ. სასურსათო საწყობში. როდის გამანთავისუფლებენ?

კაკურიძე.

პასუხი. იქნებით გაშვებული საერთო წესით მეორე რიგში.

კითხვა. მე ვარ წ. არმიელი. სახლი არ მაქვს, ამიტომ ჩემი ცოლშვილი დავტოვე სოფლიდან გაძევებულ თავადის სახლში.

ეხლა პატრონი დაბრუნებულა და გამოურეკია ჩემი ცოლშვილი. ის სახლი მეკუთვნის თუ არა?

ქიშოშვილი.

პასუხი. მიმართედ ადგილობრივ აღმასკომს.

კითხვა ვმსახურებ ჯარში. სახლში მარჩენალი იყო ჩემი ძმა, რომელიც ეხლა იქ არ არის.

გამანთავისუფლებენ ოჯახურ მდგომარეობის გამო ან ვის უნდა მივმართო დახმარებისთვის?

ვ. ვაშაკიძე.

პასუხი. განთავისუფლებული არ იქნებით. დახმარებისათვის მიმართეთ აღმასკომს.

# ჩვენი ფოსტა.

ამხ. კუბლაშვილს ლექსი „წითელი გვარდიის ხსოვნას" არ გამოდგა.

ამხ. მინდიაშვილს (1-ლი ლეგ) კორესპონდენცია „ნაშრომს მოვლა უნდა" გადაეცით კედლის გაზეთისათვის.

ამხ. ამხ. წყაროს (ცხენ. ლეგ) მანასოვს (მეთ. სკოლა) ყულიას კირელს (5-თე ლეგ), დარაშვილს (2-რე არტ-ლეგ), ჩვენს (მეთაურთა სკოლა) ახალციხელს (5-თე ლეგ) გრიგოლიას (6-სე ლეგ) თქვენი კორესპონდენციები „მადლობა გლეხს," „მოსამსახურეთა შემცირება," „ასეთები მგონი დაუშვებელია" „ცვალებადთა ცხოვრება ძლიერ კარგია," „საკლუბო მუშაობა", „ჩვენი საქმიანობა" და „6 სე ლეგ. 2-რე ასეული" ზოგი დაგვიანებულია და ზოგიც არ გამოდგა. მოგვაწოდეთ სხვა წერილები.

ამხ. ამხ. მანასოვს (მეთ. სკოლა),კოხრეიძეს და კოპალიანს (6-სე ლეგ.) თქვენი წერილები: „კურსანტები დაბრუნდენ," „ახალი წვეულები" და „როგორ გამოგვისტუმრეს" არ დაიბეჭდება. ასეთები იყო ჩვენს გაზეთში.

# ვის აქვს საწინააღმდეგო?

1-ლ ქ. მ. დ. ცალკე საკავშირო ასეულის კომუჯრედში შემოტანილი აქვს განცხადება კომპარტიის წევრად დამტკიცების შესახებ, კომპარტიის კანდიდატს, წითელ არმიელ ამხ. ედიშერ ალექსის-ძე ხარატიშვილს, მცხოვრები გორის მაზრაში სოფ. ტეზერში. აღნიშნული კომუჯრედი სთხოვს ყველა იმათ ვინც კი იციან რაიმე უარყოფითი ამხ. ხარატიშვილზე აცნობონ ერთი კვირის განმავლობაში.

მისამართი: ქ. თბილისი დავიდოვის ქ. № 6.
ცალკე საკავშირო ასეულის კომუჯრედი.

ქართულ სამხედრო პოლიტსკოლის კომუჯრედში შემოტანილი აქვთ განცხადებები კ. პ. კანდიდატობიდან პარტიის წევრებად გადარიცხვის შესახებ შემდეგ ამხანაგებს: მოსე ქერქაძეს და გადახაბაძე გერასიმეს.

კომუჯრედი სთხოვს მოქალაქეებს თუ ვინმემ რაიმე უარყოფითი იცის აღნიშნული ამხანაგების შესახებ, აცნობონ მას 10 დღის განმავლობაში, სკოლის კომუჯრედის ბიუროში.

პოლიტ-სკოლის კომუჯრედის ბიურო.

დროებითი რედაქტორი მ. სიმონგულოვი.

ნ. დ. ს. ც. სამხედრო სტამბა კეცხოველის ქ. № 8.